ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4116347

ნომერი: AR1621543

თარიღი : 07.08.2018

გაცემის თარიღი : 13.08.2018

გაცნობის თარიღი : 14.08.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი IV , კორპუსი 416 , და კორპუსი N418 შორის ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი IV , ნაკვ.N02/026-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა ჩოჩოშვილი პ/ნ 01022004803
- თბილისი თემქა IX კვ. კორ. ბ ბ. 18

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
„მშენებლობის ნებართის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად შენობა-ნაგებობის ყველა სახის სარემონტო და მოპირკეთებითი, მათ შორის, ფასადისა და სახურავის სამუშაოთა შესრულება, გაბარიტებისა და იერსახის არსებითად შეცვლის გარეშე (გარდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა), განეკუთვნება შენობა-ნაგებობის შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვას, რომელიც წარმოადგენს ისეთ მშენებლობას, რომლის დროსაც დეფექტები აღმოიფხვრება ისე, რომ არ იცვლება შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები (ფასადის შეღებვა შენობა-ნაგებობის არსებულ ფერში) არ საჭიროებს წერილობით დასტურს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.